პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მეორე წელი

№ 15 (256)
ხუთშაბათი,
4
ივნისი,
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

კომუნისტები გულმოდგინედ ეუფლებიან სკკპ XXI ყრილობის მასალებს

უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ-ჯერობით ყურადღება ექცევა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებას.

ზემდგომი პარტიული ორგანიზაციების დადგენილებათა და მითითებათა შესაბამისად კომუნისტები დროულად შეუდგნენ პარტიის XXI ყრილობის მასალების ღრმად შესწავლას. პარტიული განათლების ყველა რგოლი გადაყვანილი იქნა ამ ისტორიული დოკუმენტების შესწავლაზე, რამაც დიდად გაზარდა კომუნისტების დაინტერესება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისა და სხვა მნიშვნელოვანი თეორიული საკითხები. პარტიული პროპაგანდა უფრო დაუკავშირდა უნივერსიტეტის ცხოვრების საკითხებს, რის შედეგადაც საგრძნობლად გაუმჯობესდა როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი, ისე მასობრივი სპორტული და მხატვრული თვითმოქმედებითი შუშაობა.

გასულ წელს ორგანიზებულად დაიწყო სასწავლო წელი პარტიული განათლების ჯსლში, რამაც განაპირობა შემდგომი წარმატებები. ასევე, პარტიულმა კომიტეტმა დროულად განიხილა საკითხი პარტიული განათლების ჯსლში სასწავლო წლის დამთავრების შესახებ და დასახა სათანადო ღონისძიებანი. ჩატარდა შემაჯამებელი მეცადინეობები, თეორიული გასაუბრებები.

გასული სასწავლო წლის მანძილზე უნივერსიტეტში შექმნილი იყო და აქტიურად მუშაობდა სამი თეორიული სემინარი. ამათგან ქიმიის ფაკულტეტთან შექმნილი იყო პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სემინარი (ხელმძღვანელი დოც. ი. ბურგენიძე) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტთან — საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების შემსწავლელი სემინარი (ხელმძღვანელი დოც. ი. ტაბატაძე), ბიოლოგიის ფაკულტეტთან — საბუნებისმეტყველო ფილოსოფიის შემსწავლელი სემინარი (ხელმძღვანელი პროფ. გ. პაპალაშვილი). თეორიული სემინარების მეცადინეობა ტარდებოდა სასწავლო გეგმის მიხედვით და მთელი მუშაობა წარმართული იყო პარტიის XXI ყრილობის მასალების შესწავლისაკენ.

უნდა ითქვას, რომ სემინარების მუშაობა ორგანიზებულ, ხასიათის ატარებს და დადებით შედეგებს იძლევა. მათში გასულ სასწავლო წელს ჩაბმული იყო 90 კომუნისტი, აქედან. უნივერსიტეტში არსებულ თეორიულ სემინარებში — 51 კომუნისტი.

სემინარის მეცადინეობებზე აქტიურად მონაწილეობდნენ კომუნისტები — პროფესორები: ნ. ციცუშვილი და ი. გვერდწითელი, დოცენტები — შ. ზარაშვილე, ნ. ფირცხალავა, ქ. ძაგნიძე და ხ. შენგელია, უფროსი მასწავლებელი პ. ხელაძე (ბიოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი), უფროსი ლაბორანტი დ. ზარქუა და სხვ.

კომუნისტების დიდი ნაწილი წიგნზე დამოკიდებული მუშაობისს გზით იმაღლებდა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს. პარტიული განათლების ფორმაში ჩაბმული იყო 153 კომუნისტი, მათი უმრავლესობა სერიოზულად მუშაობდა. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების დაუფლებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ. პროფესორები — დ. დოლიძე, ვ. მამასახლისოვი, ვ. შადური; დოცენტები — ნ. ნატრაშვილი, ტ. კვარაშვილი, ტ. რუხაძე, გ. გოლუთიანი, ს. კოლინია, ნ. კახნიაშვილი, გ. ლომაძე, ი. გიგინეიშვილი; თანამშრომლები — ი. გოგლიძე, დ. ორბელიანიძე, ვ. კვანტარაანი, გ. ნიკაბაძე, მ. ოქროპირიშვილი, თ. რუხაძე, ე. კვატაშიძე და სხვ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ამხანაგი ფორმალურად ირიცხებოდა წიგნზე დამოკიდებულად მოუშუშეთა სიაში. სეროიზულად არ მუშობდა თავისი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისათვის. ეს შეეხება უმთავრესად დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტსა და ფიზიკურისა და სპორტის კათედრაზე მომუშავე ზოგიერთ ამხანაგს.

კომუნისტების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იყო პროპაგანდისტებად და კონსულტანტებად. ნაწილიც საფუძვლიან სწავლაში იყო ჩაბმული.

სასწავლო წლის მანძილზე სისტემატიურად ტარდებოდა ლექციო-მოხსენებები მარქსისტულ-ლენინური თეორიის სხვადასხვა საკითხებზე, განსაკუთრებით კი პარტიის XXI ყრილობის მასალებზე.

საფაკულტეტო პარტიული ორგანიზაციების მეტი ნაწილი დროულად იხილავდა პარტიული პროპაგანდის საკითხებს და სათანადო ზომებს იღებდა გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ამ მხრივ შედარებით უკეთ იყო დაყენებული საქმე ქიმიის (პარტბიუროს მდივანი ამხ. მ. ხუნდაძე), ფილოლოგიის (პარტბიუროს მდივანი ამხ. ო. ბაკანიძე), ბიოლოგიის (პარტბიუროს მდივანი ამხ. ბ. ბელაძე), გეოგრაფია-გეოლოგიის (პარტბიუროს მდივანი ამხ. ბ. კოტარია), ფიზიკის (პარტბიუროს მდივანი ამხ. ფ. ჯიჯია) ფაკულტეტების, ადმინისტრაციის (პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. აბაშიძე), სამეცნიერო ბიბლიოთეკის (პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. აბულაძე) პარტიულ ორგანიზაციებში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფორმალიზმი. პარტიული პროპაგანდა სასწავლოდ არაა დაკავშირებული უნივერსიტეტის ცხოვრებასთან. ამ მხრივ დიდი მუშაობა გვმართებს. ყველა ჩვენგანს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რომ პარტიის XXI ყრილობის მასალების შესწავლა არ არის ერთდროიული საქმე, რომ იგი ხანგრძლივსა და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს.

მომავალი, ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უკვე დაიწყო და მიმდინარეობს.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ დროულად აღმოვფხვრათ პარტიული განათლების საქმეში არსებული ნაკლოვანებები და ორგანიზებულად დავიწყოთ ახალი სასწავლო წელი.

აკად. კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია

29 მაისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, ◆ ჩვენმა უნივერსიტეტმა გამართეს აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ალ. ბარამიძისა — „აკად. კ. კეკელიძე როგორც ძველი ქართული წერილობის მკვლევარი", ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ კ. გრიგოლისა — „აკად. კ. კეკელიძე და საქართველოს ისტორიის საკითხები", დოც. ივ. ჭავთარაძისა — „აკად. კ. კეკელიძე და ქართული ენის საკითხები", პროფ. ი. სურგულაძისა — „აკად. კ. კეკელიძე და ქართული სამართლის საკითხები".

უნივერსიტეტის საატო დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა სესია, მოეწყო აკად. კ. კეკელიძის შრომათა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართული მეცნიერების ამ დიდი მოღვაწის ამზე მეტი ნაშრომი.

გ. ფავლენიშვილი

ე. ნინოშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია

30 მაისს უნივერსიტეტის საატო დარბაზში გაიმართა ქართული ლიტერატურის კლასიკოსისა და გმირნენილი საზოგადო მოღვაწის — ეგნატე ე. ნინოშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის პროორეკტორმა სასწავლო ნაწილში, დოც. მ. მირიანაშვილმა. ე. ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა დოცენტი ბ. ფღინტი. დოცენტმა ს. ჭილაიამ წაიკითხა მოხსენება — „ე. ნინოშვილი და თანამედროვეობა". ე. ნინოშვილის ლიტერატურული შეხედულებების შესახებ მოხსენება გააკეთა დოცენტმა ვ. ცისკარიძემ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა მონაწილეობით.

ნ. სინაურიძე

კლასიკური ფილოლოგიის კათედრის საჯარო სხდომა

ამასწინათ ჩატარდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრის საჯარო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ძველი რომის გამოჩენილი ორატორის, ცნობილი ადვოკატის, დიდი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის მარკუს ტულიუს ციცერონის გარდაცვალების 2000 წლისთავს.

ციცერონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა დოც. აკ. ურუშაძემ. „ციცერონის ფილოსოფიური შეხედულებანი" — ასეთი იყო პროფ. ს. დანელიას მოხსენება. ინტერესით მოისმინეს პროფ. ალ. წერეთლის მოხსენება — „ციცერონი როგორც პოლიტიკური მოღვაწე".

ლ. კანკავა,
კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტი.

სიცოცხლის სიხარული

ფოტოტრუდი გ. ჯოჯუასი

დავიცვათ ბავშვები — ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალი!

მშვიდობა და ბედნიერება ბავშვებს! — ამ მისწრაფებამ ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა დედამიწის ზედაპირის ხუთივე კონტინენტის ყველა დედა. ათი წლის წინათ მათ მსოფლიოს ქალთა ასოციაციის საშუალებით დაგზავნეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე — 1 ივნისი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავდნენ და ზრუნავენ ბავშვებზე, ამის მკვლევეტყველური საბუთია ლენინური დეკრეტი ბავშვთა უფასო კვების შესახებ, სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში რომ გამოიცა.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვებს შექმნილი აქვთ სწავლისა და დასვენების ყოველგვარი პირობა. მათთვის იცქმა ათასობით ეკონომგაზეთი, მილიონობით წიგნი, დაარსებულია საბავშვო თეატრები, ბავშვთა რკინიგზები და საბავშვო დაწესებულებები, სადაც ისინი სკოლაში მიღებულ ცოდნას ეცნობიერებენ. საბჭოთა სახელმწიფო დიდძალ თანხას ხარჯავს ბავშვთა სამედიცინო მომსახურებაზე, მათს დასვენებაზე.

დიდია სოციალისტური სამშობლოს ზრუნვა ბავშვებზე. სწორედ ამიტომ დამშვიდებით შეაქერის საბჭოთა დედა თავისი შვილების მომავალს, სჯერა, რომ მათს შემდგომ ცხოვრებას სახელად ბედნიერება დაერქმევა.

რა დიდი კონტრასტია ჩვენსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის! იქ სიღარიბე, უწიგნურობა, შიმშილი, სიტიტვლე და აუტანელი ფიზიკური შრომაა ბავშვების ხვედრი. ჩილისა და არგენტინაში, მაგალითად, 1 000 ახლადდაბადებულიდან 5 წლის ასაკამდე მხოლოდ 800 აღწევს. დანარჩენი შიმშილისა და სიცივისაგან იღუპება.

ერთ-ერთი გაზეთის ცნობით, იაპონიაში ძაღლი 50 დოლარი ღირს, კატა — 30 და მოზარდი გოგონა — 22 დოლარი...

კაპიტალისტური ქვეყნების დედები იმედის თვალით შესცქერიან საბჭოთა კავშირს, შენატრიან იმას, რასაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია. დედებს არ შეუძლიათ შშვიდად იძინონ, ვიდრე ოკეანისგაღმელი რბევრიალისტები იარაღს აყალარუნებენ, ვიდრე ქვეყნერებას ემუქრება ატომური ომის საფრთხე. მსოფლიოს დედები ხმას იმაღლებენ ამ საშიშროების წინააღმდეგ და მოითხოვენ:

— შშვიდობა და ბედნიერება ბავშვებს!

ლ. დოღონაძე,
უნივერსიტეტის ადგილკომთან არსებული ბავშვთა შორის მომუშავე კომისიის თავმჯდომარე.

ბავშვთა დაცვის დღე უნივერსიტეტში

ჩვენი უნივერსიტეტის ადგილკომთან არსებულმა ბავშვთა შორის მომუშავე კომისიამ და მეცნიერ-მუშაკთა ოლქების საბჭომ 1 ივნისს უნივერსიტეტის საატო დარბაზში მოაწყო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მ. დოლიძემ. მოხსენება თემაზე — „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე" წაიკითხა დოც. ვ. ცისკარიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ ლ. ცერცაძე, ო. ჯიჭია და მ. ჯიბლაძე.

შემდეგ გაიმართა კონცერტი უნივერსიტეტის თანამშრომელთა შვილებისა და I საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მონაწილეობით.

კათედრის პარტიული ჯგუფის საკითხი
პარტიული კომიტეტის სხდომაზე

ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში მეტად მნიშვნელოვან როლს წარმოადგენენ პარტიული ჯგუფები. ისინი ადგილობრივ ისტორიულად ხელშემწყობ ადგილებში ყველა დასახული ღონისძიების განხორციელებას და, ამით ეფორ ქმედითად ებრძვიან დაწესებულებას. წარიყვანს.

პარტიული ჯგუფები შექმნილია ჩვენს უნივერსიტეტშიც. ფაკულტეტების ცალკეულ ურუსებზე და აგრეთვე ინსტიტუტებში. მათი მეშვეობის შესახებ ნაკლებად ვმსჯელობთ. ჯერ კიდევ საათნაადი კარ ვანდენთ მოწინავე პარტიული ჯგუფების გამოცდილებათა ეფექტიანობას, მათ მეშვეობაში არსებული ნაკლოვანებების ახლებლა. ეს კი ორთე საქმეა, არამედ ხშირად ამ გზით შეიძლება ნამდვილი დახმარება გავუწოთ პარტიულ ჯგუფებს, ხელ შეუწყოთ მათ აქტიურ ფაზს, ხელ შეუწყოთ ამის ეფექტურ მონაწილეობას საერთო საფაკულტეტო ან სარნეკანსტატო საქმიანობაში.

სწორედ ამ მიზნის ისახავდა უნივერსიტეტის „პარტიული კომიტეტი, როდეს 2.6. 49 რამდენიმე დღის წინათ, თავის მორიგ სხდომაზე განიხილა საათნი დიალექტიური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის პარტიული ჯგუფის მეშვეობისა და კათედრისაში. ამის დამპარების შესახებ.

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ ნინაშეფელ პარტიულ ჯგუფს (პარტ-ჯგუფორგი — ამხ. გ. ასათიანი) გააჩნია ეფექტიანობა აქვს ჩატარებული კათედრაზე სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მეშვეობის, გაუმჯობესებისა და სრულფასოვანი. კათედრის წევრი კომუნისტები აქტიურად ონორეულ აყვა რეგალეგზე XXI ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. მათი უმეტესი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს საკავშირო-პროფკავშირ ინსტიტუტ და, სპეციალურ, საზოგადოებრივ მეშვეობაში — როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ.

კათედრის წევრები — კომუნისტები ნაყოფიერ სამეცნიერო მეშვეობას ეწევიან. მარტი 1958 წლის განმავლობაში კათედრის თანამონაწილეობა მოიშალდა და შემდეგ გამოქვეყნდა კიდევ 10 სხვადასხვა სახელწოდების შრომა, მათ შორის აღსანიშნავია „50 წელი ვ. ლენინის ნიგნის — «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკის» გამოქვეყნებიდან", რომელშიც. გარდა აღნიშნული კათედრის წევრებისა, შესულია ავტორად სხვა მონათესავე კათედრების წევრთა სამეცნიერო სტატიებიც.

პარტიული ჯგუფი და კათედრა საერთაშორისო ეხმაურება საუნივერსიტეტო ღონისძიებებით გათვალისწინებულ საკითხებს და მონაწილეობს მათს შესრულებაში.

ამასთან, პარტიულმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ კათედრის პარტიული ჯგუფისა და კათედრის მეშვეობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს, რაც ეარყოფილ ბალანსის ახდენს კათედრის მეშვეობის სწორ ორგანიზაციასა და მის მიღწევებზე. კათედრა და მისი პარტიული ჯგუფი ჯერ-ჯერ ყურადღებას ვერ აქცევენ სასწავლო-აღმზრდელობითი მეშვეობის ძირეულ საკითხებს, იმეორად ხდება კათედრის წევრთა ლექციებზე ერთგვარ დასწრება და შეფასების კრიტიკულად განხილვა. ჯერ კიდევ აღარ ფიქრობენ, არ არის კომენტირ ლექტორების მიერ ლექციათ-სემინარების გაკეთებნის შემობეკვენი. არ არის შესაბამისობაში სასწავლო პროცესის ორგანიზაციასა და კათედრის დოკუმენტაციის მასალები, კათედრის ზოგიერთ წევრებს შორის არ ეგრძნობა ჯანსაღი და კოლეგიალური დამოკიდებულების ატმოსფერი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პარტიული ჯგუფის წევრები ყოველთვის როდი ეაწრებიან საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ღონისძიებებს და სხვ.

აღინიშნულ ნაკლოვანებებს არ ეკნებოდა ადგილი, პარტიული ჯგუფი დროულად რომ აყენებდეს დღის წესრიგში ამის წინაშე მდგარ აქტუალურ საკითხებს და გადაჭრილ ზომებს იღებდეს მათს გამოსასწორებლად.

ამასთან დაკავშირებით, პარტიულმა კომიტეტმა დასახა რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უფუოდ დიდად დაეხმარება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის პარტიულ ჯგუფს მის შემდგომ მუშაობაში.

პარტიულმა კომიტეტმა აღნიშნულ პარტიულ ჯგუფს დავალა კათედრასთან ერთად კიდევ უფრო გაუმჯობესოს სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მეშვეობა და მთლიანად დაუქვემდებაროს იგი სკკპ რეგალეგზე XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას; მისისთვის, როგორც პარტიული ჯგუფის კრებაზე, ისე კათედრის სხდომაზე პერიოდულად მოიმართონ სასწავლო პროცესთან და სამეცნიერო-კვლევითის მეშვეობასთან დაკავშირებული საკითხები და დასახონ ღონისძიებანი მათს გამოსასწორებლად. პარტ.ჯგუფორგს, ამხ. გ. ასათიანს დაევალა სისტემატიურად ჩაატაროს პარტიული ჯგუფის კრებები და უზრუნველყოს კომუნისტთა აქტიური მონაწილეობა საკითხების განხილვაში; ჩაატაროს იერიდიული ფაკულტეტის პარტიერი კათედრაზე ანსებული მდგომარეობის საქმის კურსში; ქმედითი ღონისძიებანი გაატაროს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; კათედრის ყველა კომუნისტს ეაიანოს ფაკულტეტის პარტიერული და უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებანი.

პარტ.ჯგუფორგმა, კათედრის გამგესთან ერთად, მიაღწიოს კათედრის წევრებს შორის ჯანსაღი, საქმიანი ატმოსფერის შექმნას, კოლეგიალური და ამხანაგური დამოკიდებულების დანერგვას; უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორგანიზაციის სრულყოფა (კათედრის წევრთა შორის სასწავლო დატვირთვის სწორი განაწილება, ცხრილების სწორად შედგენა და სხვ.)

პარტიული კომიტეტის დადგენილება ავალებს კათედრის წევრებს, რომ თვითეულმა მათგანმა ყოველდღიური ეკურადღებას ეცნერში მოიქცეს სტუდენტთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მეშვეობის გაუმჯობესების საკითხება და უფრო მეტიდად დაუკავშირონ კომუნისტური მშენებლობის მიმდინარე ამოცანებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული პრობლემები.

ეჭვი არ არის, რომ პარტიული კომიტეტის ეს დადგენილება დიდად დადებმრავა ანა. მარტო დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის პარტიულ ჯგუფს, არამედ ყველა სხვა დანარჩენი კათედრების პარტიულ ჯგუფებსაც მათს წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

სურათზე: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები — ალ. ბაკურაძე და ა. დათიაშვილი სკკპ ისტორიის კაბინეტში ემზადებიან პირველი გამოცდისათვის.

ფოტო ა. ვემჯიანისა.

სტუდენტთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე

მედიცინის ლეკმოსილი მუშაკი სტუდენტებს შეაჩერ მოუქცევიათ და შეკითხვებით არ ასვენებენ. ექიმი სილოვან ნიკურაძე უამობს მათ თავიანი 45 წლის მეშმაობის სინტეზეზეო ეპიზოდებს:

— ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი და სამახსოვრო სიჭაბუკის წლებია. ახალგაზრდებს რომ ვეუკურებ, ბეჭედ სიხარულით მეგზეკა, მეც ახალგაზრდა მგონია თავი, — ამბობს იგი.

ორი ათეული წლის განმავლობაში რესპუბლიკის სტუდენტ ახალგაზრდობას ემსახურება სილოვანი, ავადმყოფობის ნიშანსა და სიყვარულს იმსახურებს. სტუდენტთა სამედიცინო მომსახურების სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებასთან ბრუნავს.

1910 წლის 19 წლის სილოვანი ოერიკეს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტია. აქ იგი უნივერსიტეტის მოწინავე ახალგაზრდობასთან ერთად მონაწილეობას ღებულებს თვითმყოფელური მთავრობის წინააღმდეგ რეგოლეციურ გამოსვლებში.

1915 წელს იგი ამთავრებს უნივერსიტეტს და მუშაობს სხვადასხვა ადგილებში.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან, მუშაობს სამტრედიის ციაფნის სოფლებში — გომსა და სოკაჟოში.

1925 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისში, აკადემიკოს მუხალასთან, სპეციალიზაციაზე ქირურგიულ კლინიკაში.

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის პირველსავე ღღეებში ს. ნიკურაძე საბჭოთა მეომრთა ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე ადგა.

ამ დროს გამოცდილი ექიმი ქირურგად მუშაობს ერთ-ერთ საბჭდრო ჰოსპიტალში და ბალისმიერი ოპერაციების შეფუვედ მრავალ მძიმედ დაჭრილს უნარჩენებს სიცოცხლეს.

დიდი სამამული ომის დამთავრების შემდეგ ს. ნიკურაძე დანიშნეს თბილისის სტუდქალაქის სტაციონარის და პოლიკლინიკის მთავარ ექიმად, ხოლო 1948 წლის ოქტომბრიდან გადაყვანილ იქნა მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო-სანიტარულ ნაწილში ქირურგიული მეშმაობის ხელმძღვანელად.

საატესტაციო კომისიამ ნიკურაძეს ფრიადი შეფასება მისცა, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის ქირურგს. მან პრაქტიკულად დაამტკიცა რამდენიმე ახალგაზრდა ქირურგი, რომლებიც ამჟამად დამოუკიდებლად აკეთებენ რთულ ოპერაციებს.

ეკანასკნელი ათი წლის მანძილზე ხანგაზმულმა, 70 წლის ქირურგმა, თავის მოწაფეებთან ერთად, ჩაატარა რამდენიმე ასეული ოპერაცია კარგი შედეგით. თანაშრომლები: რ. ფალავანდიშვილი, ი. ბერეიშვილი, ა. იბრაგიმოვი, ქ. ავალიანი, ა. ხლინინა, დ. ფოფანა და მ. ნანიბაშვილი მეშრობენ მოელი ენერგიით, კეთილსინდისიერად, შეპოქმედებითად.

მეუხეადად ხანგაზმულობისა, საკმარისია შეიტყოს სილოვანმა სტუდენტების ან თანაშრომლის ავადმყოფობა, რომ დაუყოვნებლივ გამოცანადგის ავადმყოფთან. საკმარისია ავადმყოფმა გაიგოს, რომ მას ექიმი ნიკურაძე მკურნალობს და იგი მოალერად მტკიცედ გრძნობს თავს, სჯერა, რომ ნამდვილად განიკურნება.

ლეკმოსილი ექიმი მარტო ოპერაციების კეთებით არ კმაყოფილდება. მას ხშირად ნახავთ სტუდენტთა, ექიმთა და ექიმთა შეკრებებზე, სადაც ატარებს ლექციებს და საუბრებს სამედიცინო დარგის სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, აძლევს ახალგაზრდობას რჩევა-დარიგებას ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების საკითხებზე.

ს. ნიკურაძეს დაბეჭდილი და გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეცნიერული შრომა. მათ შორის აღსანიშნავია „ვენების გაგანიერების მკურნალობა კონსერვატულად" და სხვ.

საბჭოთა ხალხის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ს. ნიკურაძე დაჯილდოებული მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით და მედლებით.

მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის სპატიო წოდება.

ხანგრძლივი მოღვაწეობით ს. ნიკურაძემ სავსებით სამართლიანად დაიმსახურა სტუდენტთა და მეშა-მოსამსახურეთა პატივისცემა და სიყვარული.

ალექსანდრე ხუსალბერიძე

შემდეგ ზომსსენებული აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ადგილობრივ შესასწავლ ლაბორატორიებში, სახელოსნოებსა და სტამბა-გამომცემლობაში შრომის დაცვის პირობები და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა. შემოწმებით დადასტურდა, რომ, მიუხედავად გარკვეულ წარმატებისა, ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებები გაგვაჩნია. ასე, მაგალითად, მოუგვარებელია ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიებისა და სტამბა-გამომცემლობის ტერიტორიის ვენტილაციაც; გადასალაგებელი და გადასაკეთებელია მექანიზმები და აპარატურა ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიებში. არაა მოწესრიგებული დანადგარებთან და მექანიზმებთან სამუშაო ადგილები. ყოველთვის არ ერთის იზოლირებული ტანსაცმელი და სხვ.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხუთ წელიწადში ძნიშნელოვნად გააძლიერეს მუშაობა სანიმნდ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისადმი კონტროლის განსახორციელებლად. ჩვენმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის მიიღო საუკეთესო მიწის ნაკვეთი საბურთალოზე, იპოდრომის უბანში, 36 საცხოვრებელი ბინის ასაგებად.

ამასთან ზომსსენებელმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ინიციატივით დაისაგ საკოთხი, მიღებულია სათანადო თანხმობაც და მალე დაიწყება უნივერსიტეტის სასადილოსათვის ცალკე ავალიანის მშენებლობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის ტერიტორიის გაფართოებას.

მომსსენებელმა იღალარაკა სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების შემდგომი განვითარების, მეშა-მოსამსახურეთა, სტუდენტთა და მასწავლებელთა შორის ფიზიკულტურული ღონისძიების გატარებისა და უნივერსიტეტო ცხოვრების სხვა საკოთხების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: უნივერსიტეტის პრორექტორმა სასწავლო ნაწილში დოც. ვ. მირიანაშვილმა, პროფ. ვ. ბერაძემ, ინჟინერმა ა. ბურუსოვაძემ, სტამბა-გამომცემლობის პარტიიროს მდივანმა ლ. ცეროკაძემ.

კრებამ მოსსენების გამო მიიღო რეზოლუცია, რომელშაც მოიწონა საკავშირო პროფკავშირთა XII ყრილობის გადაწყვეტილებანი და დასახა ღონისძიებანი უნივერსიტეტში სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-მასობრივი მეშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მიხეილ მუვიდოვაძე

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა პროფორგანიზაციის საერთო კრებაზე

29 მაისს შედგა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა პროფორგანიზაციის საერთო კრება, რომელზეც მოხსენებით — „სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობის შედეგები და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფორგანიზაციის ამოცანები" — გამოვიდა პროფკავშირთა XII საკავშირო ყრილობის დელეგატი, უნივერსიტეტის ადგილობრივ კომიტეტის თავმჯდომარე, დოც. პ. კეკელიძე.

მომსსენებელმა აღნიშნა, რომ მთელი მეშობა პროფკავშირთა XII ყრილობისა, რომელმაც სხეტიკულად შეაჯამა პარტიის მიერ შემუშავებული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდი პროგრამა, მიმართულია ახალ ისტორიულ ეტაპზე პროფესიული კავშირების კონკრეტული ამოცანების განსაზღვრის თვალსაზრისით.

როგორც ვიცით, პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ განსაზღვრა საშუალო და უმაღლესი სკოლების გარდაქმნის გზები. ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, უმაღლესი სკოლა უნდა დაუახლოვდეს ცხოვრებას, წარმოებას; მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე უზრუნველყოს სპეციალისტთა საუკეთესო თეორიული და პრაქტიკული მომზადება. ამ მიმართულებით დიდი ამოცანები დგას ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე.

წელს მთელ რიგ ფაკულტეტებზე კონტინგენტის ახალი შევსება იწარმოებს წარმოებიდან, სოფლის შეუნარჩუნებიდან და ორგანიზაციათ-დაწესებულებებიდან მოსული ახალგაზრდებით. ადგილების გარკვეული პროცენტი ეთმობა მუშაობის სტაჟის არმქონე, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებისთვისაც სავალდებულოა ერთი წლის განმავლობაში წარმოებიდან მოღწეულ ეფექტიანობა ნაწილ ეფექტურ ეფექტიანობა ნაწილ ეფექტურ ეფექტიანობა ნაწილ ეფექტურ

ახალი ბიულეტენი

სკკპ XXI ყრილობამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დააყენა — სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგებში მოპოვებული გამოცდილების შეჯამებებითად განზოგადებისა და ცხოვრების მიერ წამოყენებული ისეთი ახალი საკითხების კვლევისა, როგორიცაა კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებათა ღრმად შესწავლა და კაპიტალისტურ სამყაროში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენების ღრმა ანალიზი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველმხრივი კრიტიკა და მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის ბრძოლა.

ამ მიმართულებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებს თავიანთ სამეცნიერო-კვლევითსა და პედაგოგიურ შუშაობაში უფროდ დიდ დახმარებას გაუწევს ახალი ბიულეტენი — „Новые книги за рубежом по общественным наукам", რომელსაც სცემს საზღვარგარეთული ლიტერატურის სახელმწიფო გამოცემლობა.

ბიულეტენი აქვეყნებს ვრცელ რეცენზიებს (დაწერილებით შინაარსსა და კრიტიკულ შეფასებას) ყველა იმ წიგნისას, რაც საზღვარგარეთული ქვეყნების ბაზარზე გამოდის ისტორიის, ეკონომიკის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის საკითხებზე.

დასახელებული ბიულეტენი ყოველთვიური ორგანოა და თითო ნომრის მოცულობა 4 ნაბეჭდ თაბახს შეადგენს. ბიულეტენზე ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში (ფასი 1 წლით — 30 მანეთი, 6 თვით — 15 მან.).

სასურველია, აღნიშნული ბიულეტენი გამოწეროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა პროფესორ-მასწავლებელმა.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების V კურსის ფრიადსანმა სტუდენტმა ანზორ ბახილიამ წარმატებით დაიცვა სადიპლომო შრომა. მომავალი ჟურნალისტი მოელი მონდომებით ემზადება სახელმწიფო გამოცდებისათვის. პირველ საგნად იგი სკკპ ისტორიას ირჩევს.

სურათზე: ანზორ ბახილია მეცადინეობის დროს.

ი. ყიფშიძის ხსოვნას მიეძღვნა

პროფ. ი. ყიფშიძე — სახელოვანი მეცნიერი, დიდი პატრიოტი, შესანიშნავი პედაგოგი და უალრესად თავმდაბალი ადამიანი — ერთ-ერთი დამაარსებელი იყო ჩვენი უნივერსიტეტისა. იყო რა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი სწავლული მდივანი, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთი ფუძემდებელთაგანი, მან ბევრი გააკეთა უნივერსიტეტის — ქართული მეცნიერების ამ დიდი ტაძრის საქმეთა ფლეგოდ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ი. ყიფშიძემ დაიწყო პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის კურსის კითხვა.

ი. ყიფშიძის სამეცნიერო მოღვაწეობა სულ 8 წელს გაგრძელდა. ამ მოკლე დროის განმავლობაში მან შეძლო საყოველთაო სიყვარულის, პატივისცემისა და აღიარების დამსახურება.

ი. ყიფშიძის შრომები ეხება ქართულ, მეგრულსა და ჭანურ ენებს. მის ისეთ შრომებს, როგორიცაა: „დამატებითი ცნობები ქართი ენის შესახებ", „მეგრული (იმერხეული) ენის გრამატიკა", „ასმილიაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში", „საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს", „ეხოგრება და წყობა ჭანეთის ანტონ რაგახისა", „ქართული ენის გრამატიკა", „ძველი ქართული ენის ქრესტომათია ლეჭსიკონიერთერთ", „ქართული ბიბლიოგრაფია" (წიგნი I), „მეგრულ-ჭანური ქართველთა წარმწერებში სამეგრელოდან", „ისევ მეგრულზე" (ალ. ამ მხრივ საინტერესო შრომები იქნა წაკითხული პოლიმერების ქიმიისა და ტექნოლოგიის სექციაზე. სიბჭოთა მეცნიერების მიერ მიღებული პოლიმერების ახალი ტიპები, რომლებიც ხასათდებიან საინტერესო თვისებებით. ასე, მაგალითად: რადიაქტიური პოლიმერები შეიძლება გამოყენებულ იქნან ტოლერად სპეციფიკური პრეპარატებად; სილიციუმ-ორგანული პოლიმერები, რომლებიც შეიცავენ ალუმინს, გამოიყენებიან თერმოშედეგიანი ნაწარმების დასამზადებლად და სხვ.

დიდი მნიშვნელობისა და მრავალფეროვანი იერმოსული ბუნებრივ ნაერთთა ქიმიისა და ბიოქიმიის სექციაში მოსმენილი გამოკვლევანი. მათ შორის აღსანიშნავია შრომები, რომლებიც მიეძღვნა შეკაზოის მეცნიერულობის გამოკვლევას ალკალოიდების შემცველობაზე. ამ მხრივ ყურადღება ძიიპერო უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის საშეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა.

ასეთივე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოხსენებები იქნა მოსმენილი სხვა სექციების. სხდომებზე, რომელთაც ნაოფლაკვლი ულიდესი და ფრაკვალბრეი წარმატებანი, რომელიც მიღწეულია საბჭოთა და უცხოელ ქიმიკოსების მიერ. სრულიად საკავშირო მენდელეევის VIII ყრილობაზე მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის 19 ქიმიკოსმა. მათ შორის, აკადემიკოსმა რ. აგლაძემ და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა, პროფესორებმა — ე. ერისთავმა, ვ. კაკაბაძემ, რ. ლალიძემ, უფრ. მეცნ. მუშაკებმა — ნ. ბუქაურმა, გ. ბაგრატიშვილმა და სხვებმა.

უსათუოდ საყურადღებოა ყრილობის მუშაობის საუკეთესო და სანიმუშო ორგანიზაცია. ორკომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა მთელ მუშაობას, შედგებოდა 45 წევრისაგან. მათ შორის იყო 25 აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი (ორკომიტეტის თავმჯდომარე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი — აკად. ა. ნესმეიანოვი).

დასასრულს, ყრილობამ მიიღო მილოცვების ტექსტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, აგრეთვე მიმართვა საბჭოთა ქალშრის ყველა ქიმიკოსის მიმართ, რომელთაც მოუწოდა შეიღწეულნი ეგემის ვადაზე ადრე განხორციელებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაბმისაკენ.

ტარალინის სამეცნიერო თბილისის საველმწიფო უნივერსიტეტის ქიმიკოსების მოკალეობას შეადგენს მაქსიმალურად ჩაბმა იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც დასახა მენდელეევის VIII ყრილობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისის პლენუმისა და პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

პროფ. ნ. ციციშვილი,
ყრილობის დელეგატი,
ასისტენტი რ. კაკაბა.

გამოცდები გეოგრაფებთან

1 ივნისს ყველა ფაკულტეტზე დაიწყო საზაფხულო საგამოცდო სესიები, რომელისთვისაც სტუდენტთა უმეტესი ნაწილი ენერგიულად ემზადებოდა. ისევე, როგორც წინასაგამოცდო დღეებში, ახლაც სავსეა მკითხველებით სტუდენტთა საკითხველო დარბაზები. ასეთივე მდგომარეობაა სასწავლო კაბინეტებშიც. სტუდენტები გამოცდის წინ ერთხელ კიდევ იმეორებენ შესწავლილ მასალას და ცდილობენ კარგი მაზეკნებლებით დამთავრონ სესიები.

ზოგიერთი ფაკულტეტის ცალკეული კურსის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში, ან რესპუბლიკის გარეთ. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულმა სტუდენტებმა ზაფხულის გამოცდები ადრე დაწყვეს და ჯერ კიდევ მაისის თვეში დამთავრეს.

აპრილის მეორე ნახევარში დაიწყოთ საზაფხულო საგამოცდო სესიები გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის ფიზიკური გეოგრაფიისა და ეკონომიური გეოგრაფიის ჯგუფებს.

აღსანიშნავია ფიზიკური გეოგრაფიის ჯგუფის სტუდენტთა წარმატება. ამ ჯგუფში თექვსმეტი სტუდენტია და ყველა მათგანმა კარგი ნიშნები მიიღო. ამ გამოცდაზე განსაკუთრებით ისახელა თავი სტალინის სახელობის სტიპენდიანტმა ბ. ბარგველანმა, რომელმაც ოთხ გამოცდასა და ორ დიფერენციალურ ჩათვლაში დამსახურებულად მიიღო ხუთიანები. ბ. ბარგველს კი ჩამორჩა სახელობის სტიპენდიანტი გულნარა დეკანოსიძეც, რომელმაც ექვსი ფრიადი მიიღო.

ისევე, როგორც ფიზიკური გეოგრაფიის ჯგუფში ეკონომიური გეოგრაფიის ჯგუფშიც ოთხი გამოცდა და ორი დიფერენციალური ჩათვლა ფრიადზე ჩაბარეს ლ. არველაძემ, ვ. ნეიძემ და ვ. შენგელიამ.

ორივე ჯგუფის სტუდენტებმა საზაფხულო სესიები კარგი მაზეკნებლებით დაამთავრეს და წინასწარ შედგენილ გეგმის მიხედვით გაემზავრნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში, წინასაფაკულტეტო პრაქტიკაზე.

პრაქტიკაზე გამგზავრებამდე ორივე ჯგუფის სტუდენტებს ესაუბრა ფაკულტეტის დეკანი დოც. კ. პატარაძე, რომელმაც მათ სათანადო რჩევა-დარიგება მისცა, თუ როგორ გამოიყენონ პრაქტიკისათვის განკუთვნილი დრო, რას მიაქციონ მთავარი ყურადღება და სხვ.

პრაქტიკაზე ფიზიკური გეოგრაფიის ჯგუფს უხელმძღვანელებს დოც. კ. ჯაფარიძე, ხოლო ეკონომიური გეოგრაფიის ჯგუფს — ასისტენტი ნ. ილაშვილი-გეხტმანი.

გზა მშვიდობისა, ამხანაგებო, გისურვებთ წარმატებას პრაქტიკაზე!

როლანდ ბასილაშვილი

მენდელეევის VIII ყრილობა

ამა წლის მარტის თვეში ქ. მოსკოვში ჩატარდა მენდელეევის VIII ყრილობა ზოგად და გამოყენებით ქიმიაში, რომლის მოწვევა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც საბჭოთა ხალხი დაირაზმა და იბრძვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის მაისის პლენუმისა და პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განსაორციელებლად.

ყრილობამ განიხილა განვლილ 25 წლის მანძილზე ქიმიის მეცნიერებისა და ქიმიური მრეწველობის განვითარებისაკენ მიმართული მუშაობის შედეგები და, ასევ ამოცანებთან დაკავშირებით, დასახა შემდგომი მუშაობის გეზი ქიმიის დარგში.

ყრილობამ, რომლის მუშაობა ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდა, ნათელყო საბჭოთა ქიმიური მეცნიერების მიერ მოპოვებული როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ხასიათის ის დიდი წარმატებანი, რის შედეგადაც საბჭოთა ქვეყანამ ქიმიის პროდუქციის მოცულობით II ადგილი დაიკავა მსოფლიოში.

ყრილობამ მიიწვია ქიმიის დარგის სპეციალისტები, ქიმიკოსები და ინჟინრები. დელეგატთა და მიწვეულ სტუმართა რიცხვი 4 000 კაცს აღემატებოდა. აქ იყო საზღვარგარეთული ქვეყნების მრავალი წარმომადგენელი (სულ 19 ქვეყნიდან) და მათ ყრილობაზე 50 მოხსენება გააკეთეს. ყრილობაზე წაკითხული მოხსენებების საერთო რიცხვი 1500-ს შეადგენდა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უცხოთის ქვეყნების ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორიც არიან ჯ. ინგოლდი (ინგლისი), ტ. შერვუდი (ამერიკა), პ. პიგანიოლი (საფრანგეთი), სემერნესა და ვიანელი (იტალია). ი. ნოდაკ ტაკე და ვალტერ ნოდაკი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); სახალო დემოკრატიის ქვეყნებიდან: ი. მერგულესკუ და ვ. სეკალი (რუმინეთი), ლუ-დგანი (ჩინეთი) და სხვ.

ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა პლენარულ სხდომებზე (5), სექციებსა და ქვესექციებში. გარდა ამისა, დიდი მუშაობა ჩატარა ყრილობასთან ჩამოყალიბებულმა ტერმინოლოგიის (არაორგანულ ქიმიაში) კომისიამ და სიმპოზიუმმა, რომელიც ეხილავდა ქიმიური და ტექნოლოგიური უმაღლესი განათლების საკითხებს.

პლენარულ სხდომებზე გამოსული აკადემიკოსები და აკადემიის წევრ-კორესპონდენტები თავიანთ მოხსენებებში შეეხენ აქტუალურ და დიდმნიშვნელოვან პრობლემებს. მაგალითად, ყრილობის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ა. ნესმეიანოვმა მოხსენება გააკეთა თემაზე: „ორგანული ქიმია და დ. ი. მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემა", ნ. სემენოვმა — „ქიმიური კინეტიკის ძირითადი პრობლემები", ა. ვინოგრადოვმა — „გეოქიმიის ძირითადი პრობლემები", ვ. კარგინმა — „პოლიმერების ქიმიის ძირითადი პრობლემები", ვ. ეფიკლგარტმა — „მოლიმის ძირითადი პრობლემები", ვ. სპიკინმა — „დ. ი. მენდელეევის კანონის თანამედროვე მდგომარეობა", ა. ალექსანდროვმა — „ატომური ენერგიის გამოყენების ქიმიური ასპექტი", აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. სარკინმა — „ქიმიური ბმის თეორიის ძირითადი პრობლემები".

ყრილობის ძირითადი მუშაობა გადატანილი იყო სექციების სხდომებზე. მუშაობდა სხვადასხვა სექცია, მაგალითად: არაორგანული, ორგანული, ფიზიკური, კოლოიდური, ანალიზური და ბუნებრივი ნაერთების ქიმიის, ბიოქიმიის, აგრეთვე პოლიმერების, სათბობის, სილიკატთა და საკვებ პროდუქტთა ქიმიისა და ტექნოლოგიის, თეორიული და გამოყენებითი ელექტროქიმიისა და სხვა (სულ 17 სექცია). სექციების სხდომებზე მოსმენილ იქნა მეტად საინტერესო და მრავალმხრივი მოხსენებები, რომლებიც ეხებოდნენ როგორც ზჩინდა თეორიული მნიშვნელობის, ისე პრაქტიკული ხასიათის პრობლემურ საკითხებს.

აღსანიშნავი და საყურადღებოა მოხსენებები, მოსმენილი ორგანული ქიმიისა და ტექნოლოგიის სექციაზე, რომელიც წარმოგენდა ყველაზე დიდ სექციას (მის სხდომებზე გამოტანილი იქნა 221 მოხსენება). განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ორგანული სინთეზის დარგში გაკეთებულმა „მოხსენებებმა და კატალიზური ხასიათის შრომებმა, რომელთა უდიდესი ნაწილი დამუშავებული იყო აკადემიკოსების: ნ. დ. ზელინსკის, ბ. ა. კაზანსკის, ა. ა. ბალანდინის და სხვათა ლაბორატორიებში.

სახალხო მეურნეობის ზრდამ და ტექნიკის პროგრესმა წამოჭრა ახალი საპრობლემოდ ამოცანები, რომელიც ეხებიან ხელოვნური ბოჭკოს, სინთეზური და ბოლიმერული მასალების მიღებას, მათი თვისებების შეცვლას სასურველი მიმართულებით და გამოყენებას. ამ მხრივ საინტერესო ანგარიშები, რომელიც მოეხსენებოდა ბ. ბ. ბ.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების I კურსის სტუდენტებმა ჩათვლები წარმატებით მიიღეს საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიაში (I ნაწ.).

სურათზე: იამზე მჭედლიძე საგნის მასწავლებელ დოც. დ. ფანჩულიძესთან გასაუბრებაზე.

ფოტო ა. გემეჯიანისა

ინტერესი თვალი

რამდენს იწონის ჰაერი

ის, რომ ჰაერს წონა აქვს, ჩვენს დროში, ალბათ ყველამ იცის.

პირველად ეს დადგენილი იქნა XVII საუკუნეში დიდი იტალიელი მეცნიერის გალილეის მიერ. გალილეიმ გადაწყვიტა გაეგებინა, შეიცვლებოდა თუ არა ჰაერით სავსე ბოთლის წონა გახურებისას. ჩასატარა რა ეს მარტივი ცდა, მეცნიერმა ნახა, რომ გახურებული ბოთლი წონიდა ნაკლებს, ვიდრე ცივი.

გალილეიმ ამ მოვლენის სწორი ახსნა მისცა. ბოთლის გახურებისას მასში მყოფი ჰაერი გაფართოვდა, ნაწილი გამოვიდა გარეთ და გახურებული ბოთლის წონა შემცირდა. აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივ პირობებში 1 ლიტრი მოცულობის ჰაერი დაახლოებით 1, 3 გრამს იწონის.

მაგრამ, თუ ჰაერს აქვს წონა, მან წნევა უნდა მოახდინოს დედამიწაზე მყოფ ყველა სავაზე. როგორია ეს წნევა, რას უდრის იგი?

დედამიწის ზედაპირი არსებითად წარმოადგენს ოდიდესი ჰაერის ოკეანის ფსკერს. სამარო ოკეანე ძალიან „ღრმაა" და მისი სიღრმის განსაზღვრა უფრო ძნელია, ვიდრე ზღვის სიღრმისა. ზღვას აქვს მკაფიო საზღვარი, სამარო ოკეანეს კი ასეთი საზღვარი არა აქვს. თუმცა ჰაერის წონა დიდი არ არის, მაგრამ ოდიდესია ის ძალა, რითაც ატმოსფეროს მთელი სიმკვრივე აწვება მიწის ზედაპირს. ატმოსფეროს წნევის სიდიდე გაზომა ტორიჩელმა და გამოიანგარიშა, რომ ნორმალური ატმოსფერული წნევის სიდიდე 0°-ზე 760 მმ ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლეს აწონასწორებს.

ტორიჩელის აღმოჩენა დადასტურებული იქნა ახალი ცდებით, რომლებიც ცნობილი ფრანგი მეცნიერის პასკალის თხოვნით აწარმოა მისმა ნათესავმა პერიერმ.

ქალაქი, სადაც ცხოვრობდა პერიე, ფდებარეობდა მთის მაღლობად. მან გადაწყვიტა გაეგებინჯა ჰაერის წნევა სხვადასხვა სიმაღლეზე. ცდამ აჩვენა, რომ წნევა მთის მწვერვალზე ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლეზე მიღწი უფრო დაბალი, ვიდრე დაბლა. მეცნიერებისათვის ნათელი გახდა, რომ ეს მოგლენა დაკავშირებულია ჰაერის წნევასთან. დაბლ, დედამიწის ზედაპირთან, ჰაერი აწვება უფრო მეტი ძალით, ვიდრე მთის მწვერვალზე. ზედაპირზე წნევა უდრის 1, 293 კგ-ს. 5 კმ სიმაღლეზე (ზღვის დონიდან) წნევა 45%-ით ნაკლებია, ხოლო 12-კმ სიმაღლეზე იგი შეადგენს 319 გრამს. ამგვარად, ჰაერის მთელი მასის ცხრა მეათედი თავმოყრილია ატმოსფეროს იმ ფენაში, რომელიც 15 კმ სიმაღლემდე ვრცელდება ზღვის დონიდან.

ჩვენ გვიდგება საკუთარ თავზე გამოცადოთ ჩვენს ზემოთ, ატმოსფეროს ყველაზე ზედა საზღვრამდე განლაგებული ჰაერის - მთელი ფენის სიმძიმის დაწოლა, ისე, როგორც ზღვის ფსკერზე მოგვიდგომოდა გაგვეძლო ჩვენს ზემოთ მყოფი სიმძიმისათვის. სამაერო ოკეანის „ფსკერზე", თვითეულ კვადრატულ სანტიმეტრის ფართობზე, ატმოსფერო აწვება დაახლოებით 1 კგ სიმძიმით. ეს იმას ნიშნავს ,რომ ადამიანის ხელისგულს, რომლის ფართობი დაახლოებით 150 კვადრატულ სანტიმეტს უდრის, ჰაერი აწვება 150 კგ სიმძიმით, რაც უდრის ორი მოზრდილი მამაკაცის წონას. საშუალო სიმაღლის ადამიანის სხეულის ზედაპირის ფართობი დაახლოებით 15 000 კვადრატულ სანტიმეტრს შეადგენს და, მაშასადამე, იგი უნდა განიცდიდეს 15 ტონა წნევას. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ჩვენ ვერ შევიგრძნობთ ამ უზარმაზარ წნევას იმიტომ, რომ ჰაერის წნევა ვრცელდება არა მარტო სხეულის ზედაპირზე, არამედ მის შიგნითაც, ყველგან, სადა კი შეუძლია ჰაერს შეაღწიოს. საკმარისია წნევა შემცირდეს, რომ ადამიანს დაეწყოს გულისრევა, თავბრუსხვევა, იგრძნოს სისუსტე, გამოაჩნდეს ე. წ. მთის ავადმყოფობის ნიშნები.

დედამიწის ზედაპირი უდრის 510 მილიონ კვადრატულ კილომეტრს. ყოველი კვადრატული კილომეტრი განაცდის 10130 ტონა წნევას ე. ი. მთელი ატმოსფერო დაახლოებით $(5 \times 10)^{15}$ ტონაზე მეტს, რაც მთელი დედამიწის წონის მხოლოდ ერთ მემილიონედ ნაწილს შეადგენს.

ზ. ხვედელიძე,

ფიზიკის ფაკულტეტის ასპირანტი.

სპორტის კმბეზე

საინტერესო შეხვედრა ფეხბურთში

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლთა ფეხბურთის გუნდმა განაახლა ვარჯიში და რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. კვირის, 24 მაისს, პროფესორ-მასწავლებელთა გუნდი შეხვდა თბილისპრობის თანამშრომელთა ფეხბურთის გუნდს. ამჯერად პროფესორ-მასწავლებლებს სერიოზულ მოწინააღმდეგეთან ჰქონდათ საქმე. თბილისპრობის გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ქართული ფეხბურთის გამოჩენილი ოსტატები: ირაგამ სარჯველაძე, მიხეილ პირველი, ავთანდილ პაიჭაძე, კაკო თოდრია, მერაბ გამყრელიძე და სხვანი.

პროფესორ-მასწავლებლები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: დოცენტები — ოთარ ჯაფარიძე, ნოდარ ლომოური, ნოდარ ნაკაშიძე; მეცნიერებათა კანდიდატები — ბოსდო კარტოზია, ნოდარ კაკაბაძე, ალექსანდრე კარლო ადეიშვილი; ასისტენტები — არჩილ სულკქველიძე, თამაზ ებანოიძე; უფროსი ლაბორანტი კარლო ადეიშვილი; ასპირანტები — ბეგლარ ხარაბაძე და ნიკო გიორგაძე.

თამაში დაიწყო უნივერსიტეტელთა შეტევით; მე-8 წუთზე გარეშბრამბა ნოდარ ნაკაშიძემ მეკარე პირველთან ორთაბრძოლა გოლით დაგვირგვინა. რამდენიმე წუთის შემდეგ ანგარიში გაიზარდა. ნოდარ ნაკაშიძემ მიიღო ზუსტი გადაცემა ოთარ ჯაფარიძისაგან, გაექცა მცველებს და მეკარის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა. პირველის ნახტომმა ამჯერადაც ვერ იხსნა კარი.

ფეხბურთის ვეტერანები კონტრიერიშზე გადავიდნენ. ავთანდილ პაიჭაძე, კაკო თოდრია, მერაბ გამყრელიძე ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. უნივერსიტეტელთა კარი რამდენჯერმე მეკარე ნოდარ ლომოურის თავგანწირულმა თამაშმა იხსნა, რამდენჯერმე კი — კარის ძელმა.

პირველი ნახევრის დასასრულს უნივერსიტეტელების კარში მსაჯმა მეტად საეჭვო თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა. ავთანდილ პაიჭაძემ შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა.

ანგარიშით 2 : 1, პროფესორ-მასწავლებელთა გუნდის სასარგებლოდ, მოთამაშენი შესვენებაზე წავიდნენ. თამაშის მეორე ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა. თავისი გაიტანა ვეტერანთა გამოცდილებამ და ტექნიკურმა ოსტატობამ. სპორტის ოსტატმა ავთანდილ პაიჭაძემ თამაშის დასაწყისშივე ზედიზედ ორი „მკვდარი" ბურთი გაახვია უნივერსიტეტელთა კარის ბადეში. მალე ვეტერანებმა ანგარიში კიდევ გაზარდეს; სპორტის ოსტატმა კაკო თოდრიამ შორიდან ძლიერდაარტყა, რაც მეკარისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და ბურთი ბადეში გაეხვია. წარმატებლობამ გამოაფიზილა პროფესორ-მასწავლებელთა გუნდი. მათ თავგანწირვით შეუტევს მოწინააღმდეგის კარს. რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია მეკარემ, სპორტის ოსტატმა მიხეილ პირველმა. უნივერსიტეტელთა ერთ-ერთი შეტევა სასახუო გოლით დამთავრდა (ბურთი კვლავ ნოდარ ნაკაშიძემ გაიტანა). ანგარიში გახდა 4 : 3 ვეტერანთა სასარგებლოდ. უნივერსიტეტელთა განაგრძობდნენ შეტევას, თავდასხმაში ჩაებნენ ნახევარმცველები (ბეგლარ ხარაბაძე და არჩილ სულკქველიძე), მაგრამ მოწინააღმდეგის კარის ადგილ არ მოხვრიდა. უნივერსიტეტელებმა აგრეთვე, შეცვლის რამდენიმე აზარტრა შესაძლებლობა დაკარგეს. თბილისპრობის გუნდის დაცვა ოსტატურად იგერიებდა მათს შემოტევებს. გამოირჩევდა სპორტის ოსტატების — იბრაგიმ სარჯველაძისა და მერაბ გამყრელიძის თამაში.

თამაშის დასასრულს, ვეტერანების ერთ-ერთი შეტევის დროს, უნივერსიტეტელთა დაცვამ და მეკარემ შეცდომა დაუშვეს და მოწინააღმდეგეს იული ბურთის კარანის საშუალება მისცეს.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 5 : 3, თბილისპრობის ფეხბურთელთა გამარჯვებით. პროფესორ-მასწავლებელთა გუნდისთვის ეს, ასე თქვათ, „სასატინ დამარცხებაა". მათ გამოავლინეს კარგი ფიზიკური და სპორტული მომზადება, გამარჯვებისადმი სწრაფვა, კოლექტიურობა და სპორტული პასუხისმგებლობა.

თამაშმა სპორტულად მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. განსაზღვული „თბილისპრობის" გუნდთან კიდევ ერთი შეხვედრის მოწყობა. ვესურვოთ პროფესორ-მასწავლებელთა ფეხბურთელს რევანშის ალება.

შაბათს, 31 მაისს, საზეიმო ვითარებაში დაიხურა უნივერსიტეტის სტუდენტთა X ტრადიციული სპარტაკიადა. სპარტაკიადის შედეგები შეაჯამა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ამხ. ქ. შეყრილაძემ. შემდეგ მოიწყო სპარტაკიადაში გამარჯვებულთა დაჯილდოება.

სურათზე: უნივერსიტეტის ფიზიკულტურისა და სპორტის კათედრის პარტბიუროს მდივანი ამხ. დ. ქამუშაძე ჯილდოებს გადასცემს იურიდიული ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანს ამხ. დ. ცინცაძეს.

ფოტო ა. გემეჯიანისა

გვირილა

გზის პირებზე, ნატყეავრ და ნასვენ ადგილებში, სათიბებში და ყველგან — მინდორ-ველებში, ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე ვის არ შეხვედრია თეალის მაამებელი, ყელმოღერებული თეთრი და ყვითელი ფერის ყვავილებიანი გვირილა. მისი სამრავლე ზოგჯერ ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს მიიმოს ზეწარი ჰქონდეს გადფარებული.

გვირილა რთულ-ყვავილოვანთა ოჯახს ეკუთვნის. მისი ყვავილები შედგება ყვავილთა ჯგუფისაგან, რომლებიც კალათების მსგავსადა შეკრული. კალათების კიდეები გრძელი ენისებრი ყვავილებითა შემოკაზული, შიგნით კი ლამაზად სხდან ყვითელი მილისებრი ყვავილები, ისე, რომ მთდიანი კალათა, ერთი შეხედვით, ერთი ყვავილი ეგონება კაცს.

საქართველოში მრავალნაირი გვირილა ხარობს. არის მინდვრის, ყვითელი, წითელი და სხვა. გვირილებიანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კალათების კიდეებზე მსხდომი ენისებრი ყვავილების ფერით, კალათების სიდიდით, ფოთლებით, სიცოცხლის ხანგრძლივობით და სხვა.

მინდვრის გვირილა მრავალწლიანი მცენარეა. მისი ღერები 20 — 60 სანტიმეტრის სიმაღლეზე აღწევს, რომელთა ბოლოებს ამშვენებს თეთრწამოსაქებიანი ყვითელთვალა ყვავილები. გვირილა მრავლდება თესლით. გვირილას ყვავილი მუდამ მზეს შესცქერის, აღსავსეა სითბოთი და სიყვარულით. იგი სილამაზით ბევრ ყვავილს არ ჩამოუვარდება. თუმცა სული არა აქვს შესაფერისი, მაგრამ მასთან ახლოს ჩამჯდომს არ შეიძლება იგი არ შეამჩნიოს და ბევრი სხვა ყვავილისაგან არ განასხვაოს. გვირილა შეიძლება გამოყენებული იქნეს ბაღებისა და პარკების დასამშვენებლად. გვირილას ზოგ სახეობას მედიცინაში ხმარობენ სამკურნალოდ. ცნობილია გვირილასაგან დამზადებული ოფლის მომგვრელი ჩაი, რომელსაც ქემბები უწერენ ავადმყოფებს.

გვირილაზე ხალხს შეუქმნია შემდეგი ლეგენდა:

— დედამიწაზე მრავალი ყვავილი ცხოვრობდა, ყველას უყვარდა მზე. გათენებისას მზის პირველ სხივებს ყველა სიხარულით ელოდა, მაღლა იწევდნენ, რომ უფრო კარგად დაენახათ იგი. იფურჩქნებოდნენ, გულს უშლიდნენ მზეს, რომ თავიანთი საიდუმლოება მისთვის გაეზიარებინათ.

მზესაც უყვარდა ყვავილები. მოეფინებოდა რა მთელ ქვეყანას, ყველას აჯილდოებდა თავისი უხვი სინათლითა და სითბოთი, ყველას უსრულებდა გულის წადილს.

ყვავილები მიდიოდნენ მზესთან, ზოგი სილამაზეს თხოვდა, ზოგი სუნს, **ზოგი სიმაღლეს...** მხოლოდ ერთი ყვავილი არ მიდიოდა მზესთან. ეს იყო თეთრი, გულყვითელა გვირილა.

გაუკვირდა მზეს გვირილას საქციელი და ჰკითხა მას:

- ნუთუ ყველაფერი ბევრი გაქვს, არაფერი არ გეჭირდება?

— არა, — უპასუხა გვირილამ.

— სილამაზე მთხოვე, შეგაკოკობ. შენისთანა ყვავილი არ იქნება მთელს არე-მარეზე.

— მე უბრალო ყვავილი ვარ, — მიუგო გვირილამ, — არ მინდა სილამაზე, დავ, დავრჩე ასეთი, მხოლოდ ეროსა გთხოვ, დიდო მზეო, მინდა, რომ ყველგან და სულ ვუყაოდე, ვასაამივო ხალხს, ადამიანებს. ამით მე კმაყოფილი ვიქნები.

მზემ შეუსრულა თხოვნა გვირილას.

ნანული თოდუა

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 1 500. უე 02529

რედაქტორი ი. ბ. ...